# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №28

## 2021 წლის 22 იანვარი

## ქ. თბილისი

## „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2019, 040030000.10.003.021682) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების“:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საფასური შეადგენს:

ა) ფიქსირებული გეოგრაფიული ან არაგეოგრაფიული ზონის აბონენტის სააბონენტო ნომერზე ყოველ კალენდარულ თვეში, მიუხედავად აბონენტად გახდომის რიცხვისა, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის (მათ შორის, დაწესებულებებისთვის) – 0.40 ლარს;

ბ) მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტის სააბონენტო ნომერზე ყოველ კალენდარულ თვეში, მიუხედავად აბონენტად გახდომის რიცხვისა, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის (მათ შორის, დაწესებულებებისთვის) – 0.40 ლარს.“.

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ან სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევის/დანაშაულის შემთხვევებში, ჩამორთმევას/გადაყვანას დაქვემდებარებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების მიზნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების საფასური შეადგენს:“;

ბ) მე-2 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაინტერესებული პირის მიერ კერძო გამოძახების საფუძველზე, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალების თავისი სვლით გადაადგილების მიზნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების საფასური შეადგენს:“;

გ) მე-3 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის (გარდა სატრანსპორტო საშუალების ნივთმტკიცების სახით დგომის შემთხვევებისა) საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:“;

**დ) მე-4 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ნივთმტკიცების სახით დგომის საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:“.

**3. მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფით მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| მომსახურების დასახელება | საფასურის განაკვეთი<br><br>(1 პირი – 1 საათი) |
|---|---|
| პროგრამული უზრუნველყოფით მომსახურება | 20 ლარი |

3. პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შემუშავების საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| მომსახურების დასახელება | საფასურის განაკვეთი<br><br>(1 პირი – 1 საათი) |
|---|---|
| პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შემუშავება | 30 ლარი |

.“.

**4. მე-7 მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| მომსახურების დასახელება | საფასურის განაკვეთი<br><br>(1 კვადრატული მეტრი) |
|---|---|
| შენობის შიდა ფართობზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განთავსების დაგეგმვა | 0,5 ლარი |

3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| მომსახურების დასახელება | საფასურის განაკვეთი<br><br>(1 გრძივი მეტრი) |
|---|---|
| შენობის გარე პერიმეტრზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განთავსების დაგეგმვა | 0,5 ლარი |

4. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების შესახებ კონსულტაციის საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| მომსახურების დასახელება | საფასურის განაკვეთი<br><br>(1 პირი – 1 საათი) |
|---|---|
| ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების შესახებ კონსულტაცია | 25 ლარი |

.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 6 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი გიორგი გახარია